

თბილისი-რუსთავის ურბოლანდშაფტების ატმოსფეროს დაბინძურების ფაქტორი და მისი გავლენა გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ მდგომარეობაზე

ელენე კობახიძე

ელ-ფოსტა: elene.kobakhidze629@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამათი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1

წინამდებრე ნაშრომში მიზნად დავისახეთ საქართველოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. მოგეხსენებათ, რომ საკითხი საკმაოდ მრავლისმომცველია, ამიტომ ძირითადი ყურადღება ურბანულ საკითხებს დავუთმეთ, შესაბამისად, ნაშრომში უმეტესად თბილის-რუსთავის საქალაქო აგლომერაციის მდგომარეობაა განხილული. კომპილაციური და ანალიზის მეთოდების გამოყენებით შევეცადეთ შეძლებისდაგვარად სრულად წარმოგვედგინა თბილისისა და რუსთავის ქალაქების ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო, ურბოლანდშაფტები და მათი დაგეგმარება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გამომწვევი ფაქტორები და მისი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ნაშრომი შედგება შესავალის, ძირითად ნაწილისა და დასკვნისგან. ძირითადი ნაწილი მოიცავს ოთხ თავს: I. მსხვილი სამრეწველო ცენტრების ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხის შეფასება საერთაშორისო სტატისტიკური მასალების მიხედვით; II. თბილისი-რუსთავის ურბოლანდშაფტები და სელიტურ-შიდალანდშაფტური დაგეგმარება; III. თბილისი-რუსთავის ბუნებრივი გარემო და მისი როლი ატმოსფეროს თანამედროვე მდგომარეობის ჩამოყალიბებაში და IV. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, როგორც გარემოსთან დაკავშირებული ერთ-ერთი უმთავრესი რისკი ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

დასკვნის სახით შეჯამებული გვაქვს ატმოსფერული ჰაერის დამინძურების მონიტორინგთან დაკავშირებული ხარვეზები და წარმოდგენილი გვაქვს რეკომენდაციები პრობლემის მოგვარებისა და შემდგომში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.